ინფორმაცია 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით
გათვალისწინებული კაპიტალური პროექტების შესახებ

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	ფაქტი 2011 წლის ჩათვლით	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
25 02 02 01	გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია	1,031,050.9	700,185.9	74,865.0	80,000.0	85,000.0	91,000.0
25 02 02 07	თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის 15–21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია	15,161.0	11,661.0	3,500.0	0.0	0.0	0.0
25 02 02 08	მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები	24,470.0	4,470.0	5,000.0	5,000.0	5,000.0	5,000.0
25 02 02 09	მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობა	4,000.0	0.0	4,000.0	0.0	0.0	0.0
25 02 02 10	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (WB)	1,635,739.8	1,626,739.8	9,000.0			
25 02 02 11	ვაზიანი–გომბორი–თელავის გზის პროექტი (WB)	43,277.3	39,277.3	4,000.0	0.0	0.0	0.0
25 02 02 12	ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე გვირაბის მშენებლობა (ADB)	10,000.0	0.0	1,680.0	8,320.0	0.0	0.0
25 02 02 18	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი მეორე პროექტი (WB)	186,260.0	0.0	43,000.0	77,620.0	35,640.0	30,000.0
25 02 03 01	აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I (აღაიანი–იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია) (WB)	95,654.9	88,654.9	7,000.0	0.0	0.0	0.0
25 02 03 02	აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II (იგოეთი–სვენეთი) (WB)	180,971.6	178,971.6	2,000.0	0.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	ფაქტი 2011 წლის ჩათვლით	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
25 02 03 03	აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (სვენეთი–რუისი) (WB)	266,775.6	228,775.6	38,000.0	0.0	0.0	0.0
25 02 03 04	აღმოსავლეთ-დასავლთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (რუისი-რიკოთი) (WB)	230,200.0	0.0	55,200.0	80,000.0	71,000.0	24,000.0
25 02 03 05	ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (ADB)	282,066.0	24,066.0	93,000.0	45,000.0	60,000.0	60,000.0
25 02 03 06	აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (JICA)	290,267.1	33,267.1	91,000.0	92,000.0	48,000.0	26,000.0
25 03 02	განახლებადი ენერგიების განვითარების პროგრამა (KfW)	15,341.5	10,127.5	5,214.0	0.0	0.0	0.0
25 03 04	მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (II ფაზა) (ADB)	50,264.6	44,243.6	6,021.0	0.0	0.0	0.0
25 03 05	მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (ADB)	66,648.1	63,998.1	2,650.0	0.0	0.0	0.0
25 03 06	რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (WB)	76,070.3	67,600.7	8,469.6	0.0	0.0	0.0
25 03 07	მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB)	532,688.7	32,688.7	90,000.0	140,000.0	140,000.0	130,000.0
25 03 08	რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB)	140,000.0	0.0	104,195.0	35,805.0	0.0	0.0
25 03 11	რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (WB)	106,000.0	0.0	29,000.0	77,000.0		
25 04 02	ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)	3,436.7	36.7	3,400.0	0.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	ფაქტი 2011 წლის ჩათვლით	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
25 04 03	წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)	92,855.0	23,955.0	68,900.0	0.0	0.0	0.0
25 04 04	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)	408,002.7	11,502.7	50,000.0	116,400.0	116,350.0	113,750.0
25 05	დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია	595,803.6	181,211.5	84,592.1	100,000.0	110,000.0	120,000.0
27 02 01 02	ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მშენებლობა	16,933.0	7,933.0	9,000.0	0.0	0.0	0.0
27 04 02	პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით უზრუნველყოფა	4,155.0	300.0	555.0	800.0	1,000.0	1,500.0
32 05 01 02	პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „ირმის ნახტომი“	63,678.3	40,878.3	5,400.0	5,600.0	5,800.0	6,000.0
32 05 02	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	507,281.3	287,401.3	44,880.0	50,000.0	60,000.0	65,000.0
33 04 02 02	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა	40,326.4	6,791.9	12,065.0	7,026.5	7,056.5	7,386.5
34 01 01 02	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მშენებლობა ქ. გორში	3,920.0	3,000.0	920.0	0.0	0.0	0.0
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	125,343.5	70,470.1	24,873.4	10,000.0	10,000.0	10,000.0
36 02 01	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD)	50,310.5	23,426.5	14,900.0	11,984.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	ფაქტი 2011 წლის ჩათვლით	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
36 02 02	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC)	42,700.0	240.0	19,900.0	22,560.0	0.0	0.0
36 02 03 01	შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KfW, EIB, EBRD)	640,885.2	310,047.6	174,437.6	156,400.0	0.0	0.0
36 02 04	ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID)	122,777.7	21,977.7	72,000.0	28,800.0	0.0	0.0
49 13 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (II ფაზა) (KfW)	88,906.9	70,346.4	18,560.5	0.0	0.0	0.0
49 13 05	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (KfW)	124,409.0	0.0	12,000.0	42,020.0	38,868.0	31,521.0
49 13 06	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (KfW)	9,304.7	6,034.7	3,270.0	0.0	0.0	0.0

დანართი - ინფორმაცია კაპიტალურ პროექტებზე

გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება რაიონულ ცენტრებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზები. პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება გზებზე საგზაო ნიშნების მოწყობის, გზების ჰორიზონტალური მონიშვნის და გარეგანათების სამუშაოები.

თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის 15–21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 07
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	აღნიშნული გზა მოემსახურება ძირითადად ტრანზიტულ მოძრაობას, რომელიც ხელს შეუწყობს დედაქალაქის ქუჩების სატრანზიტო ავტომობილებისგან გამოთავისუფლებას, რაც გაადვილებს და განტვირთავს ქალაქის ქუჩებში საავტომობილო მოძრაობის ინტენსივობას. პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 15.2 მლნ ლარს და სრულად ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით. პროგრამის ფარგლებში მშენებლობა-რეკონტრუქცია ჩაუტარდება 7 კმ გზას, დაიგება ახალი გზის საფარი და განხორციელდება მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილებისა და საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოები. ასევე მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, საგზაო ნიშნები და სანიაღვრე სისტემები.

მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 08
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების (წყალდიდობა) შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. მდინარეების ადიდების შედეგად ხშირ შემთხვევებში ჩამოშლილია გზები და ხიდები, მათი ფუნქციონირება პრაქტიკულად შეჩერებულია, მდინარეების ნაპირებზე ირეცხება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სოფლების დატბორვის საშიშროებაა, კალაპოტები თითქმის მთლიანად ამოვსებულია ალუვიონით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მდინარეების კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოები, ასევე ქვანაყარი (ლოდები) ბერმების მოწყობა, ნაპირების გაბიონის კედლებით გამაგრება და ტბორვის საწინაარმდეგო დამბების მოწყობა და ხიდების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობა	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 09
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 4.0 მლნ ლარს და სრულად ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132 კმ-ზე არსებული ხიდის მშენებლობა. დღეის მდგომარეობით მოძრაობა გართულებულია, ხიდი დაზიანებულია, მოითხოვს აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს. გატარებული ღონისძიებების შედეგად უზრუნველყოფილ იქნება ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 10
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ჩატარებას. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტის ფარგლებში და მისი მთლიანი ღირებულებაა 1 635.7 მლნ ლარი აღნიშნული პროგრამა ემსახურება შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივი გზების აღდგენა-რეაბილიტაციას.

ვაზიანი–გომბორი–თელავის გზის პროექტი (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 11
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების დამთავრების ღონისძიებების გატარებას, ასევე სასადილო-სიონის საავტომობილო გზის რეაბილიტაციას. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში და მისი მთლიანი ღირებულებაა 43.3 მლნ ლარი; აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხორციელდება ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის კეთილმოწყობის, ავტოპავილიონებისა და ავტომანქანების გასაჩერებელი მოედნების და დასახლებულ პუნქტებში - ეზოში შესასვლელებისა და მიერთებების მოწყობის სამუშაოები, ბეტონის კიუვეტების, გზის კუთვნილებებისა და შემოფარგვლის ლითონის მრუდხაზოვანი ძელების, ბეტონის სპეცპროფილის პარაპეტების და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები, ხოლო სასადილო-სიონის 22 კილომეტრიანი საავტომობილო გზაზე დაგეგმილია გზის საფარის აღდგენა-რეაბილიტაცია-მოდერნრიზება.

ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე გვირაბის მშენებლობა (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 12
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის კრედიტის ფარგლებში და მისი მთლიანი ღირებულებაა 10.0 მლნ ლარი მათ შორის: აზიის განვითარების ბანკის კრედიტი - 8.0 მლნ ლარი საქართველოს თანამონაწილეობა - 2.0 მლნ ლარი. პროექტი ითვალისწინებს ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე ახალი მოდერნიზებული გვირაბის მშენებლობას

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი მეორე პროექტი (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 02 18

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ჩატარებას. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტის ფარგლებში და მისი მთლიანი ღირებულებაა 186.3 მლნ ლარი მათ შორის: მსოფლიო ბანკის კრედიტი - 151.5 მლნ ლარი, საქართველოს თანამონაწილეობა - 34.8 მლნ ლარი. აღნიშნული პროგრამა ემსახურება შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივი გზების აღდგენა-რეაბილიტაციას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I (აღაიანი–იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია) (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში. აღნიშნული პროექტი მოიცავს 1 900 მეტრი გზის საფარის მოწყობას და ამ მონაკვეთზე 1 750 მეტრიანი რიკოთის გვირაბის სრულ რეაბილიტაციას, კერძოდ: არსებული ზედაპირის მოსწორება-გასუფთავებას, დამცავი გეოტექსტილისა და ჰიდროსაიზოლაციო მემბრანის მოწყობას, მოკეთების არმირებასა და ბეტონირების სამუშაოებს. ასევე, სავენტილაციო და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისათვის გვირაბის შეკიდული ჭერის რკინა-ბეტონით მოწყობის სამუშაოებს. რეაბილიტირებული გვირაბით გაიზრდება სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა. გვირაბის ღირებულება ჯამში შეადგენს 52.0 მლნ ლარს მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 10.7 მლნ ლარი, ხოლო კრედიტი - 41.3 მლნ ლარი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II (იგოეთი–სვენეთი) (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში, მისი სავარაუდო ღირებულებაა 181.0 მლნ ლარი აღნიშნული პროექტი მოიცავს თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი–სვენეთის 25.5-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას. პროექტის ფარგლებში 2012 წელს მოეწყობა ბეტონის საფარი, გამაერთიანებელი ბეტონის ფილები, ლეხურას ხიდის განაპირა ბურჯებთან შესრულდება მიწის უკუჩაყრის სამუშაოები. ხიდებზე მოეწყობა მოაჯირები და უსაფრთხოების ბარიერები. სატრანსპორტო კვანძებსა და ადგილობრივ გზებზე შესრულდება მიწის ვაკისისა და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები, მოეწყობა გაბიონის კედლები, ბეტონის ნიუ ჯერსის ტიპის ბარიერები და ბეტონის კიუვეტები.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (სვენეთი–რუისი) (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 03

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში და მისი სავარაუდო ღირებულებაა 266.8 მლნ ლარი მათ შორის: მსოფლიო ბანკის კრედიტი - 218.8 მლნ ლარი; საქართველოს თანამონაწილეობა - 48.0 მლნ ლარი; აღნიშნული პროექტი მოიცავს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისი 14.5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ორი 780 მეტრიანი პარალელური ცალმხრივი გვირაბები სხვადასხვა მიმართულებებზე. ასევე ორი 877 მეტრიანი ცალმხრივი, სხვადასხვა მიმართულების პარალელური ხიდი-ესტაკადა მდინარე ლიახვზე. დაგეგმილია ბეტონის საფარისა და ბეტონის ნიუ ჯერსის ტიპის ბარიერების, საგზაო ნიშნების, სატრანსპორტო კვანძებზე უსაფრთხოების ლითონის მრუდხაზოვანი ძელების, ბეტონის სპეცპროფილის ბარიერებისა და საგზაო ნიშნების მოწყობა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (რუისი-რიკოთი) (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
პროექტის აღწერა და მიზანი	დაიწყება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ96-კმ143 მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში და მისი მთლიანი ღირებულებაა 230.2 მლნ ლარი; აღნიშნული პროექტი მოიცავს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-რიკოთის 48 კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ბეტონის საფარი, გამაერთიანებელი ბეტონის ფილები, უსაფრთხოების ბარიერები, გაბიონის კედლები, ბეტონის ნიუ ჯერსის ბარიერები, ბეტონის კიუვეტები, საგზაო ნიშნები, განხორციელდება სატრანპორტო კვანძებსა და ადგილობრივ გზებზე მიწის ვაკისისა და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები;

ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (ADB)	
ქვეპროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
ქვეპროექტის განმახორციელებელი	სსიპ "ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი"
ქვეპროექტის აღწერა და მიზანი	გაგრძელდებაქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა; პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის კრედიტის ფარგლებში და მისი სავარაუდო ღირებულებაა 327.6 მლნ ლარი, მათ შორის 2012 წელს აზიის განვითარების ბანკის კრედიტი შეადგენს 72.0 მლნ ლარი, საქართველოს თანამონაწილეობა - 21.0 მლნ ლარი; აღნიშნული პროექტი მოიცავს ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზის 32.3 კილომეტრიანი გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ბეტონის საფარი, გამაერთიანებელი ბეტონის ფილები, უსაფრთხოების ბარიერები, საგზაო ნიშნები უსაფრთხოების და მოსასვენებელი ადგილები, ასევე დაგეგმილია არსებული ორზოლიანი გზის ოთხზოლიან გზამდე გაგანიერება. პროექტის განხორციელების შემდგომ შესაძლებელი იქნება ტრანზიტულად მოძრავი ავტოტრანსპორტის სრული გადართვა შემოვლით გზაზე, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქში კონფორტულ და უსაფრთხო დასვენებას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (JICA)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 02 03 06

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 02 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	გაგრძელდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ192-კმ267 ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია. პროექტი ხორციელდება იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს კრედიტის ფარგლებში და მისი მთლიანი ღირებულებაა 290.3 მლნ ლარი მათ შორის: იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს კრედიტი - 239.5 მლნ ლარი; საქართველოს თანამონაწილეობა - 50.8 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქუთაისი შემოვლითი ახალი გზის და არსებულის მშენებლობა-მოდერნიზება კერძოდ: განხორციელდება ბეტონის საფარის. გამაერთიანებელი ბეტონის ფილების, უსაფრთხოების ბარიერების. გაბიონის კედლების, ბეტონის ნიუ ჯერსის ბარიერების, ბეტონის კიუვეტების ასევე საგზაო ნიშნების მოწყობა,

განახლებადი ენერგიების განვითარების პროგრამა (KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	დასრულდება რიწეულას (რაჭა) და ხადორის (კახეთი) ჰესების რეაბილიტაცია, რის შემდგომაც განხორციელდება გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა. პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 15.3 მლნ ლარს და სრულად ფინანსდება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში

მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (II ფაზა) (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. 2012 წელს დასრულდება ქ. ფოთის წყალმომარაგების ქსელის I-VI სექტორების რეაბილიტაცია; პროექტის ღირებულება შეადგენს 50.3 მლნ ლარს, მათ შორის კრედიტი - 48.8 მლნ ლარი, ხოლო საბიუჯეტო სახსრები - 1.5 მლნ ლარი.

მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის ფარგლებში 2012 წელს რაჭა-ლეჩხუმის მუნიციპალიტეტში, ცაგერის რაიონში, მდინარე ცხენისწყალზე განხორციელდება ლასურიაშის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (WB)

პროექტის პროგრამული კოდი	25 03 06
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდა საკანალიზაციო სისტემების და წყალმომარაგების და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია. 2012 წელს გათვალისწინებულია ქ. მცხეთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია. ასევე, დაგეგმილია მესტიის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში და მისი ღირებულება შეადგენს 76.1 მლნ ლარს მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 4.0 მლნ ლარი, ხოლო კრედიტი - 72.1 მლნ ლარი.

მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი I (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 07
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება აზიის ბანკის კრედიტის ფარგლებში, მისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 533.0 მლნ ლარს; 2012 წელს დაიწყება: • რუსთავი - თბილისის ავტობანის მშენებლობა, რითაც განიტვირთება მოძრაობა რუსთავსა და თბილისს შორის და შესაბამისად, მგზავრობა გახდება უსაფრთხო და კომფორტული; • ქავთარაძის ქუჩის ბოლოს უნივერსიტეტის მეტროს სადგურის მშენებლობა; • მდინარე მტკვარზე მარშალ გელოვანისა და სამტრედიის ქუჩების დამაკავშირებელი 150 – მეტრიანი ხიდის მშენებლობა – აღნიშნული ხიდი გაამარტივებს დედაქალაქის ორ ცენტრალურ უბანს შორის კომუნიკაციას და განიტვირთება საგზაო მოძრაობა; • მდინარე არაგვზე მცხეთის ხიდის პროექტირება-მშენებლობა, რის შედეგადაც მცხეთის ცენტრი დაუკავშირდება ავტობანს; • ანაკლიის ნაპირდაცვის სამშენებლო სამუშაოებია

რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 08
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში ტურისტული განვითარების შემდგომი ეტაპია კახეთის რეგიონის განვითარება. 2012 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში გამოყოფილია 104.2 მლნ ლარი, მათ შორის კრედიტი შეადგენს 80.0 მლნ ლარს, ხოლო საბიუჯეტო სახსრები - 24.2 მლნ ლარს. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს კახეთის როგორც ტურისტული ცენტრად ჩამოყალიბებას და ასევე ღვინის ტურიზმის განვითარებას.

რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 03 11

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში ტურისტული განვითარების შემდგომი ეტაპია იმერეთის რეგიონის განვითარება. 2012 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში გამოყოფილია 29.0 მლნ ლარი, მათ შორის კრედიტი შეადგენს 16.0 მლნ ლარს, ხოლო საბიუჯეტო სახსრები - 13.0 მლნ ლარს. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმერეთის როგორც ტურისტული ცენტრად ჩამოყალიბებას და ასევე ღვინის ტურიზმის განვითარებას.

ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 04 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითების ბანკის კრედიტის ფარგლებში და მისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3.4 მლნ ლარს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 04 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს რეგიონულ ქალაქებსა და დაბებში წყალმომარაგების და წყალანირების სისტემების გაუმართაობის გამო წყალი გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას. მაღალია აღნიშნული სისტემების ოპერირების ხარჯები, რის გათვალისწინებითაც პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო საინჟინრო პროექტების შემუშავება და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. პროექტი ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში და მისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 93.0 მლნ ლარს მათ შორის კრედიტი - 77.7 მლნ ლარი, ხოლო საბიუჯეტო სახსრები - 15.3 მლნ ლარი. პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხანგრძლივობა და შემცირება ოპერირების ხარჯები.

ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)	
პროექტის პროგრამული კოდი	25 04 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგამის მიზანია ქალაქების ანაკლიის,მარნეულის, მესტიის, ზუგდიდის, ქუთაისის და ფოთის მოსახლეობის სუფთა, გაფილტრული სასმელი წყლით უზრუნველყოფა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია.

დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია

პროექტის პროგრამული კოდი	25 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტი ხორციელდება დონორი ორგანიზაციების (EU, KFW, USAID, WB) მხარდამჭერი გრანტებით პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქალაქებში ბათუმსა და ფოთში ახალი უბნების მშენებლობა, კერძოდ აშენდა საცხოვრებელი კორპუსები, მთლიანად დამონტაჟდა წყალმომარაგების და საკანაზალიზაციო სისტემები, მოეწყო ინფრასტრუქტურა. ქ. წყალტუბოში განხორციელდა ყოფილი სანატორიუმის რეაბილიტაცია, ხოლო ქ. ქუთაისში - ყოფილი სამუსიკო სკოლის და საერთო საცხოვრებლის სრული აღდგენა რეაბილიტაცია. ასევე, რეაბილიტაცია უტარდება ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონებში იძულებით გადადგილებულ პირების ჩასახლებებში არსებულ კოტეჯებს და საცხოვრებელ სახლებს. აგრეთვე ხორციელდება იძულებით გადაადგილებული პირების სახლებით უზრუნველყოფა და კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ ეკონომიკური პირობები.
ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მშენებლობა	
პროექტის პროგრამული კოდი	27 02 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	27 02 - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა
პროექტის განმახორციელებელი	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	პატიმრების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და ციხეებში გადატვირთულობის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები განაპირობებს ახალი დაწესებულებების აშენებას საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციალური სისტემის ჩამოყალიბებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარების შედეგად 2012 წელს დასრულდება 450 მსჯავრდებულზე გათვლილი N19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მშენებლობა, რომლის მშენებლობა დაიწყო 2010 წელს. 2010-2011 წლებში მშენებლობაზე მიიმართა 7 933.0 ათასი ლარი. ხუთსართულიან ახალ კორპუსში თითო პატიმარზე გათვალისწინებულია 8 კვ/მ. ფართობი. შენობა აღჭურვილი იქნება სპეციალური ვენტილაციის სისტემით და ულტრაიისფერი განათებით. ამასთან, ძველი კორპუსის რეკონსტრუქციის ფარგლებში მოწესრიგდება დაწესებულების ეზო, გაფართოვდება სამზარეულო, გამაგრდება და ამაღლდება დამცავი ჯებირები. 2012 წელს ზემოხსენებული სამუშაოების დასასრულებლად გამოყოფილია 9 000.0 ათასი ლარი.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით უზრუნველყოფა	
პროექტის პროგრამული კოდი	27 04 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	27 04 - ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
პროექტის განმახორციელებელი	პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური

პროექტის აღწერა და მიზანი	პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელდება პირველადი ჯანდაცვის პუნქტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პენიტენციურ სისტემაში სტაციონარული მომსახურეობის სრულყოფის მიზნით განხორციელდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სათანადო აღჭურვა. პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების პილოტირებისას 2011 მოხდა 3 დაწესებულების აღჭურვა ევროსაბჭოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით. ანალოგიური სტანდარტებით აუცილებელია 13 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა აღჭურვა. ერთი დაწესებულების აღჭურვილობის ღირებულებაა 35 ათასი ლარი. აღჭურვილობაში შედის: ელექტროკარდიოგრაფი, დეფიბრილატორი, პორტატული ექოსკოპი, წნევის აპარატი ფონენდოსკოპით, გლუკომეტრი ჩხირების მარაგით, მშრალი სტერილიზატორი და სხვა სამედიცინო აპარატურა. პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზთან ბრძოლის თვალსაზრისით მიზანშეწონილია დაწესებულების აღჭურვა ციფრული რენტგენის აპარატებით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთ მობილური ციფრული რენტგენის კომპლექსის შეძენა საქართველოს პენიტენციალური სისტეემის დაწესებულებების მომსახურებისათვის.

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „ირმის ნახტომი“	
პროექტის პროგრამული კოდი	32 05 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 05 - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. საქართველოს საჯარო სკოლებში შეიქმნება თანამედროვე სასწავლო გარემო შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვის უზრუნველყოფით;

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	
პროექტის პროგრამული კოდი	32 05 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 05 - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათი აღჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა	
პროექტის პროგრამული კოდი	33 04 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	33 04 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებისა და არქიტექტურული კომპლექსების დაცვა, კონსერვაცია, რესტავრაცია-რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები; პროგრამით 2012 წელს: გაგრძელდება - სვანური კოშკების რეაბილიტაცია, გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია, ატენის სიონის რეაბილიტაცია, ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაცია და სხვა; დაიწყება - შატილის კოშკების რეაბილიტაცია, თუშეთის კოშკების რეაბილიტაცია, ვარძიის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის III ეტაპის სამუშაოები და სხვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მშენებლობა ქ. გორში	
პროექტის პროგრამული კოდი	34 01 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	34 01 - იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ქალაქ გორში ახალი, 4 სართულიანი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის დასრულება. პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 3 920.0 ათას ლარს და ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში; პროექტის ფარგლებში 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 000,0 ათასი ლარი, აღნიშნულ პერიოდში დასრულდება მთლიანად შენობის კარკასის აშენება და მისი შემინვა. დაიწყება ლიფტების ტრანსფორმატორებისა და გათბობა-ვენტილაციის მონტაჟი. 2012 წლისათვის შენობის შიდა მოპირკეთების სამუშაოებზე მიმართული იქნება 920,0 ათასი ლარი; პროექტის განხორციელების შემდეგ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი ქალაქ გორში განთავსება თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ ახალ შენობაში.

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	
პროექტის პროგრამული კოდი	35 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	35 04 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის II ეტაპის ფარგლებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია და მათი აღჭურვა შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას. საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს თანამედროვე სტანდარტების პათოლოგიური ლაბორატორია, ამასთან აღსანიშნავია, რომ პათოლოგიური ლაბორატორიის გარეშე შეუძლებელია ბევრი დაავადების ზუსტი დიაგნოსტირება და შედეგად, მკურნალობის ხარისხის უზრუნველყოფა. ადგილობრივად ამ სერვისის არარსებობის გამო, საქართველოს მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ არსებულ ლაბორატორიებს მიმართავს, ხოლო ნაწილისთვის ეს მომსახურება საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, შეზღუდულია საქართველოში ამ მიმართულებით სამედიცინო კადრების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოების შესაძლებლობაც. პრობლემების აღმოსაფხვრელად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011–2015 წწ სახელმწიფო სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“ ითვალისწინებს პათოლოგიის დარგის ლაბორატორიული სიმძლავრეების შექმნას ქვეყანაში. პროგრამის ფარგლებში იგეგმება თანამედროვე სტანდარტების პათოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობა და აღჭურვა, რაც გააუმჯობესებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გამოსავლის ხარისხს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის სერვისებზე მოსახლეობისათვის ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო სიმულაციური სასწავლო ცენტრის მოწყობა. რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს. იგეგმება, ასევე, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას. ქვეყნის მაშტაბით სამედიცინო დაწესებულებებში ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის დანერგვა, რისი საშუალებით განხორციელდება საქართველოს მოქალაქეების ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების დაგროვება. სისტემა წარმოადგენს სამედიცინო ისტორიების ელექტრონულ საცავს, მისი ფუნქციონალობა მოიცავს ექიმის პორტალის ინტერფეისს, ასევე შესაძლებელი გახდება ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერის სისტემაში დაცული ინფორმაციის ინტეგრირება მოქალაქის პორტალთან.

პროექტის პროგრამული კოდი	36 02 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/შპს „ენგურჰესი“
პროექტის აღწერა და მიზანი	ჰიდროაგრეგატების და სადგურის ინფრასტრუქტურის ინტენსიური ცვეთის გამო (სადგური 90-ან წლებში მუშაობდა საჭირო ყოველწლიური დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების შესრულების გარეშე) ენგურჰესის რეაბილიტაცია დაგეგმილი იქნა ორ ფაზად. პირველი ფაზა ითვალისწინებდა №2, 3 და 4 ჰიდროაგრეგატებისა და სხვა დამხმარე კვანძების რეაბილიტაციას,რაც წარმატებით განხორციელდა გასულ წლებში. მეორე ფაზა ითვალისიწნებს №1 და №5 ჰიდროაგრეგატებისა და კვანძების რეკონსტრუქცია-გადაიარაღებას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება №1 და №5 აგრეგატების ჰიდროტურბინების, ჰიდროგენერატორების, გაციების და ზეთის სისტემების, ტექნოლოგიური დაცვების, მართვის, ავტომატიკისა და სხვა დამხმარე კვანძების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ამასთან, ენგურჰესის №1 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაციის დამთავრება დაგეგმილია 2012 წელს, ხოლო №5 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაციის დამთავრება დაგეგმილია 2013 წელს. შესრულებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელი იქნება №1 და №5 აგრეგატების ნომინალურ პარამეტრებზე მუშაობა (260-260 მგვტ) და მიღწეული იქნება სადგურის საპროექტო პარამეტრებზე მუშაობის შესაძლებლობა - 1300 მგვტ სიმძლავრე.

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/შპს „ენგურჰესი“
პროექტის აღწერა და მიზანი	90-იან წლებში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო დაზიანდა ვარდნილჰესი 1-ის როგორც აგრეგატების, ასევე გამყვანი არხი, კაშხლის ინფრასტრუქტურა და სხვა კვანძები. წინა წლებში ჩატარდა აგრეგატების და ქვესადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ჰესის გამყვანი არხისა და კაშხლის გვირაბისა და სხვა კვანძების რეაბილიტაციას. კერძოდ, აღსადგენია დაზიანებული ბეტონის ძირი და ფერდები, გასამაგრებელია არხის მარჯვენა ფერდი, გასაწმენდია არხი ნატანისაგან. შესაძენია და დასამონტაჟებელია კაშხლის მონიტორინგის სისტემა, აღსადგენია კაშხლის სიღრმული წყალსაგდები და გვირაბი. რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს კაშხლის დამხმარე კვანძებს. აგრეთვე, განხორციელდება ვარდნილჰესი 2-ის სარეგულირებელი ფარების რეაბილიტაცია. 2012 წელს პროექტით შესრულებული იქნება: წყალსატარი გზების რეაბილიტაცია, ზედაპირული წყალსაშვის ფარებისა და ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, კაშხლის ნაგავდამჭერი გისოსების რეაბილიტაცია, წყალმიმღების მუშა ფარების ამწე მექანიზმების რეაბილიტაცია, ჯოჯგინა ამწეების (ორი) აღდგენა, სადაწნეო მილსადენებზე კომპენსატორების აღდგენა, მილსადენების ანტიკოროზიული სამუშაოები და სხვა. პროექტის დასრულების შემდეგ გაუმჯობესდება ჰესის მუშაობის საიმედოობა, არხის საპროექტო სიმძლავრის (არხის გამტარიანობა) უზრუნველყოფა, გაიზრდება ელექტროენერგიის წარმოება, უზრუნველყოფილი იქნება ენგურჰესისა და ვარდნილჰესის გამართული ფუნქციონირება. პროექტის დასრულების ვადაა 2013 წელი.

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KfW, EIB, EBRD)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 02 03 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
პროექტის აღწერა და მიზანი	გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული და 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად შეჩერებული 500 კვ ძაბვის ეგხ-ების მშენებლობებზე 2009 წლისათვის EBRD, KFW da EIB-ს ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გარდაბანი-ახალციხე-ზესტაფონის მონაკვეთზე 270 კმ სიგრძის ეგხ-ს მშენებლობა-რეაბილიტაციას და ახალციხე-თურქეთის 500/400 კვ ქვესადგურის (მუდმივი დენის ჩანართის) მშენებლობას. ამასთან, 2012 წლის ბოლოს დასრულდება 500 კვ ძაბვის ეგხ „ზესტაფონი-ახალციხე“-ს (ზეკარი) მშენებლობა-რეაბილიტაცია და 500 კვ ძაბვის ეგხ „გარდაბანი-ახალციხე“-ს (ვარძია) მშენებლობა-რეაბილიტაცია, ხოლო 2013 წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებულია 500 კვ ძაბვის ქ/ს „ახალციხის“ და მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობის დასრულება. პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის დიდი ნაკადების გატარება, რაც ხელს შეუწყობს ენერგოსექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვას და ექსპორტის ზრდას.

ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID)

პროექტის პროგრამული კოდი	36 02 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ერთიანი გაზმომარაგების არეალის გაზრდის მიზნით, ასევე სისტემის საიმედოობის ამაღლებისათვის, რეგიონის მოსახლეობისა და საწარმოთა გაზით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის და შავიზღვისპირა რეკრეაციული ზონის გარანტირებული გაზმომარაგებისათვის დაიგეგმა სენაკი-ქუთაისი და ვალე-ვანის მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობა. მაგისტრალის საერთო სიგრძე შეადგენს 155 კმ-ს (70 კმ ვალე-ვანის მონაკვეთი, 85 კმ სენაკი-ქუთაისის მონაკვეთი). გაზსადენის მშენებლობით დასავლეთ საქართველოს ექნება გაზმომარაგების ალტერნატიული სისტემა; შესაძლებელი გახდება შავი ზღვის სარეკრეაციო და თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისათვის, აჭარის, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისათვის მაღალი წნევით გაზის მიწოდება. ამაღლდება ქვეყნის ენერგეტიკული და პოლიტიკური უსაფრთხოების დონე, გადაიჭრება სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები. პროექტის დასრულების ვადაა 2013 წელი.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (II ფაზა) (KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	49 13 04
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	49 13 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროექტის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მერია
პროექტის აღწერა და მიზანი	ქ. ბათუმის ბათუმის III და IV ზონებში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება; მოსახლეობისათვის უწყვეტი და მოთხოვნაზე დაფუძნებული ჰიგიენურად საიმედო წყალმომარაგება; წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ნარჩენი წყლების ეკოლოგიურად და ჰიგიენურად საიმედოდ გადამუშავება. პროექტის ფარგლებში დონორის მიერ კრედიტის სახით მიღებული სახსრების გადასესხება ხორციელდება პროექტის განმახორციელებელ შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულზე (თვითმმართველი ქალაქი ბათუმი).

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	49 13 05
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	49 13 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროექტის განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მერია
პროექტის აღწერა და მიზანი	ქ. ბათუმის ბათუმის I ზონაში და ჩაქვი-მახინჯაური-მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმის I, III და IV ზონის წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება; მოსახლეობისათვის უწყვეტი და მოთხოვნაზე დაფუძნებული ჰიგიენურად საიმედო წყალმომარაგება. პროექტის ფარგლებში დონორის მიერ კრედიტის სახით მიღებული სახსრების გადასესხება ხორციელდება პროექტის განმახორციელებელ შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულზე (თვითმმართველი ქალაქი ბათუმი).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	49 13 06
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	49 13 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროექტის განმახორციელებელი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
პროექტის აღწერა და მიზანი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე სოფლების (გონიო, კვარიათი, სარფი და ახალსოფელი) წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება; პროექტის ფარგლებში დონორის მიერ კრედიტის სახით მიღებული სახსრების გადასესხება ხორციელდება პროექტის განმახორციელებელ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე.